დანართი 1

დამტკიცებულია
ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2023 წლის 5 მაისის
№ბ14.14231259 ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (მის ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების , შშმ სტატუსის პირთა 30 წლის ჩათვლით, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების 12 დღიანი (11 ღამე) საკურორტო მომსახურება 560 ლარის ფარგლებში.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურეობა. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ზემოთაღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2023 წლის 20 ივნისიდან 2023 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან 2023 წლის 1 იანვრამდე ქ. ბათუმში რეგიტრირებული შშმ პირები და დაინვალიდებული (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლის ჩათვლით), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100 001- მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახები.

5, ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25).

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი,

საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში-საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტო-სურათების, ნახაზების და ა. შ. თანდართვით;

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო საჭიროების შემთხვევაში.

შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.